

მეორე სმენაში სწავლების გავლენა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების  
სოციალიზაციის პროცესზე

შორენა მსხვილიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა კირვალიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორთა მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

შორენა მსხვილიძე

შ. მსხვილიძე

29.06.2017

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ფოკუსირებას ახდენს საჯარო სკოლაში არსებული, დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის მიერ სოციალიზაციის პროცესის წარმართვის ხელშემწყობ აქტივობებზე. წარმოადგენს სასწავლო ორგანიზაციის გზავნილების თვალსაჩინოებას ამ მხრივ. კვლევაში მიმოხილულია თუ რა ადგილი აქვს სოციალიზაციის პროცესს განათლების მიღების დროს თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. ნაშრომში საუბარია დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ქცევის თავისებურებებზე, რომლებსაც ავლენს სკოლის გარემოში და სკოლის გარეთ. აღწერს მოსწავლის მიმართებასა და დამოკიდებულებას სოციუმის სხვადასხვა წევრებთან: უფროსებთან, მეგობრებთან, კლასლებთან, პედაგოგებთან. კვლევაში საუბარია იმ სასწავლო ინსტიტუტზე, რომელიც ფუნქციონირებს სკოლის შიგნით და ზრუნავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლის განვითარებაზე. კვლევა გვთავაზობს საკვლევი საკითხის სიღრმისეულ ანალიზს, რომელზეც აქამდე არ ჩატარებულა რაიმე ხელჩასაჭიდი კვლევა, სკოლაში არსებულ სიტუაციას წარმოგვიდგენს განსხვავებული კუთხით. კვლევის უპირველესი ამოცანაა, გამოავლინოს სოციალიზაციის პროცესში სკოლის როლი და ამ მხრივ განხორციელებული ყველა აქტივობის შედეგები. აღწერს დაწყებითი საფეხურის მოსწავლის სოციალიზაციის პროცესს სკოლაში მიღებული გამოცდილების ფონზე. კვლევაში საუბარია იმაზეც, თუ როგორ აყალიბებს მიღებული გამოცდილება მოსწავლეებს სრულყოფილ მოქალაქეებად.

საძიებო სიტყვები: სოციალიზაციის პროცესი, გახანგრძლივებული კლასი (აი ქიუ კლუბი), სკოლა, დაწყებითი საფეხური, მოსწავლე, გამოცდილებითი სწავლება, ფასილიტატორი მასწავლებელი.

## **Abstact**

This research focuses on activities that facilitate the socialization process by an additional education program in the public school. Represents the transparency of the transformation of the educational organization in this regard. The survey examines how the socialization process takes place in one of Tbilisi public schools. The work deals with the peculiarity of the behavior of the primary cycle student who reveals the school environment and outside the school. Describes the attitude and attitude of the pupil with different members of the community: adults, friends, classmates, teachers. The study concerns the institution that functions inside the school and cares about the development of primary pupils. The study provides an in-depth analysis of the subject of the study, which has not yet been conducted, and provides a different perspective on the situation in the school. The primary task of the research is to reveal the role of the school in the process of socialization and the results of all the activities carried out in this regard. Describes the socialization process of the primary cycle student on the background of experiences obtained in school. The study also discusses how the experience has been achieved with pupils as perfect citizens.

Search term: Socialization process, Long-term class (IQ Club), school, primary level, pupil, experienced training, facilitator teacher.

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორ ანა კირვალიძეს სამაგისტრო თემის დაწერაში გაწეული დახმარებისათვის. მისი რჩევებისა და მითითებების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და ანალიზი. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი ფაკულტეტის კოორდინატორს ზვიად დარჩიაშვილს, დრულად მოწოდებული ინფორმაციისთვის სამაგისტრო თემის ვადების შესახებ.